7570/3-53/23 2 10102023

7570/3-53/23
10-10-2023

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში 6 ოქტომბერს 14 წლის გოგო, აითაჯ შახმაროვა 28 წლის მამაკაცმა მოკლა, რომელსაც თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა.

არასრულწლოვანი გოგონა ორი თვის განმავლობაში გატაცებული ჰყავდა ბრალდებულს. თავად არასრულწლოვანი ქორწინების წინააღმდეგი იყო და გამტაცებლის ოჯახიდან გაქცევას ცდილობდა, თუმცა ვერ ახერხებდა. როგორც მედია საშუალებებში ვრცელდება ინფორმაცია, საქმეზე გამოძიება დაწყებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა 109-ე მუხლითა და 150-ე პრიმა მუხლით, რაც ქორწინების იძულებას გულისხმობს.

არასრულწლოვან გოგონას 8 კლასი ჰქონდა დამთავრებული და მიმდინარე წელს (მე-9 კლასში) სკოლაში აღარ გამოცხადებულა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბავშვი სკოლაში არ დადიოდა მედიასაშუალებებთან დაადასტურა დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა.

სავარაუდოდ, ორი თვის განმავლობაში არასრულწლოვანი გოგონას მიმართ ადგილი ჰქონდა სისტემურ გაუპატიურებას, ძალადობასა და სიცოცხლის მოსპობის მუქარას.

აქედან გამომდინარე, მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლით ჩემთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დაწყებულია თუ არა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რომელიც გულისხმობს არაერთგზის სექსუალური ხასიათის შეღწევას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში?

- დაწყებულია თუ არა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმით დანაშაულის შეუტყობინებლობის შესახებ, იმ მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, რომელსაც ორი თვის განმავლობაში არასრულწლოვანი გოგოს მიმართ შესაძლოა ჰქონდა ადგილი- სავარაუდო არაერთგზისი ძალადობა, მუქარა და გაუპატიურება?

- გამოძიების ფარგლებში გამოიკითხნენ თუ არა ის პირები, რომლებსაც შეიძლება სცოდნოდათ არასრულწლოვანი გოგონას მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი არაერთგზისი მძიმე ხასიათის დანაშაულების შესახებ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია